

სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის მარიამ ჩუბინიძის შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	<input checked="" type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	22	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	22	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20
პროფესიული თვისებები	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10
პროფესიული აქტივობა	0	5
ქულათა ჯამი	86	100

სახელი, გვარი: ლევანი თევზაძე
თარიღი: 16.09.2024





საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ლევანი თევზაძე

2024 წლის 16 სექტემბერი

თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - მარიამ ჩუბინიძის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №1/52 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, მოსამართლეთა 17 ვაკანტურ თანამდებობაზე, მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა მარიამ ჩუბინიძე.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^ე მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^ე მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 3 სექტემბერს, ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^ე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით,

კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე, შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:

კანდიდატი 33 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის მაგისტრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 2014 წელი), სპეციალობითა მუშაობის თითქმის 12 წლიანი გამოცდილება, კერძოდ:

- 2012 წლის ოქტომბერი - 2013 წლის აპრილი - თბილისის საქალაქო სასამართლოს აპარატის მომსახურების ცენტრის კონსულტანტი - თბილისის საქალაქო სასამართლო;

- 2013 წლის აპრილი - 2014 წლის იანვარი - მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის წამყვანი სპეციალისტი - თბილისის საქალაქო სასამართლო;

- 2013 წლის მაისი - 2014 წლის იანვარი - სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების სხდომის მდივნის მოვალეობის შემსრულებელი - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია;

- 2014 წლის იანვარი - 2015 წლის მაისი - სამართლებრივი და ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილების სხდომის მდივანი - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია;

- 2014 წლის აპრილი - 2015 წლის თებერვალი - სამართლებრივი და ორგანიზაციული განყოფილების მოსამართლის თანაშემწის მოვალეობის შემსრულებელი - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია;

- 2015 წლის მაისი - 2018 წლის ივლისი - ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სამდივნოს მოსამართლის თანაშემწე - პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია;

- 2018 წლის ივლისი - 2023 წლის ივლისი - თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი

უზრუნველყოფის სამსახურის მოსამართლის თანაშემწე პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - თბილისის სააპელაციო სასამართლო;

- 2023 წლის ივლისი - 2024 წლის ივლისი - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი, კურსდამთავრებული.

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

კანდიდატ მარიამ ჩუბინიძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში არაა ხელმისაწვდომი რაიმე სახის ინფორმაცია. კანდიდატი არ სარგებლობს სოციალური ქსელებით. არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი /მხარდამჭერი/ შემომწირველი.

კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. აქვს მიმდინარე სესხები, დადებითი საკრედიტო ისტორიით. კანდიდატის სახელზე არაა რეგისტრირებული უძრავი ქონება. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, მარიამ ჩუბინიძეს უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ერთი ფაქტი. გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა.

საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში ინფორმაცია მარიამ ჩუბინიძის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული. კანდიდატი არ ყოფილა ცნობილი დაზარალებულად რომელიმე საქმეში; მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება არ განხორციელებულა.

კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია ან ნაშრომი.

მარიამ ჩუბინიძე არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 75/15
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 7.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, *სამოქალაქო სამართალში* მარიამ ჩუბინიძე მაღალ დონეზე ფლობს მრავალმხრივ თეორიულ ცოდნას. შესწევს უნარი

თეორიული ცოდნა შეუსაბამოს პრაქტიკულ სიტუაციას, გამოიყენოს თეორიული ცოდნა კონკრეტული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის. მის მიერ შედგენილი პროცესუალური დოკუმენტები გამოირჩეოდა აზრის ლაკონურად, თანმიმდევრულად ჩამოყალიბებით, ფაქტების ზუსტი და სწორი შეფასებით, მკაფიო სამართლებრივი დასაბუთებით. *ადმინისტრაციულ სამართალში* მარიამ ჩუბინიძე კარგად იცნობს მოქმედ კანონმდებლობას, ფლობს თეორიულ ცოდნას, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას. მას კარგად შეუძლია თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. აღსანიშნავია მისი განსაკუთრებული გულმოდგინება მუშაობის პროცესში და უდიდესი პასუხისმგებლობა დაკისრებული მოვალეობების მიმართ. *სისხლის სამართალში* სემინარული მუშაობისას გამოავლინა მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის მნიშვნელოვანი დებულებების ცოდნა. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება.

მარიამ ჩუბინიძეს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ტრენინგსა თუ სასწავლო კურსში (მაგ: „სამედიცინო სამართლის პრობლემატური საკითხები“, „მედიაცია“, „სამართალწარმოება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და გაეროს სახელშეკრულებო ორგანოების სტანდარტების მიხედვით“, „ვალდებულებითი სამართლის პრობლემატური საკითხები“, „დისკრიმინაციის აკრძალვა - შიდა კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები“ და ა.შ.).

მარიამ ჩუბინიძეს გავლილი აქვს მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი.

კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

კანდიდატი ფლობს გერმანულ და რუსულ ენებს.

3. კანდიდატის საჯარო მოხმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:

კანდიდატს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხები უმეტესწილად იყო ამომწურავი, თანმიმდევრული და არგუმენტირებული.

4. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ოთხივე მახასიათებლის (სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატისათვის): ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა და დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - მოთხოვნებს, თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სასდო ინფორმაცია.

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, გაირკვა:

ბოლო სამი წლის განმავლობაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობის დამდგენი კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთი სამართალდარღვევის ჩადენა არ ადასტურებს, რომ „კანდიდატს“, როგორც მოქალაქეს, არ აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება. „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებელი - „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“, იმავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული განმარტებების თანახმად, ბევრ სხვა კომპონენტსაც (პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა) მოიცავს. ვინაიდან სხვა ინფორმაცია, რომელიც გააქარწყლებდა პრეზუმფციას, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს ყველა ამ კომპონენტს, არ გამაჩნია.

შესაბამისად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის“ მახასიათებელს.

კანდიდატს გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, საქმის გარემოებების, შინაგანი რწმენის საფუძველზე და არა სხვა გარემოებებიდან

გამომდინარე, ამასთან, იგი შესანიშნავად იაზრებს სამართლიანობის არსს და სავსებით გაცნობიერებულად მოქმედებს მის შესაბამისად.

შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადამიანური უფლებების, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“ მახასიათებელს.

კანდიდატი გამოირჩევა პრობლემათა გადაჭრის სწრაფი და ეფექტური უნარით, კოლეგებთან/საზოგადოებასთან ურთიერთობის კულტურით, მაღალი ზნეობით, ეთიკით, კორექტულობით, მოთმინებით და თავშეკავებით, ამდენად, ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქცევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებელს.

კანდიდატს პიროვნულადაც და პროფესიულადაც აქვს უნაკლო რეპუტაცია, როგორც კოლეგებში ისე საზოგადოებაში, ამ დასკვნის გამაქარწყლებელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“ მახასიათებელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მივიჩნიე, რომ კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებელს აკმაყოფილებს, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით საფუძველზე მივედი იმ დასკვნამდე, რომ კანდიდატი მარიამ ჩუბინიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

5. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-3 პუნქტი) და იუსტიციის უმაღლესი სკალის შეფასების ანალიზიდან გამომდინარე, გაირკვა:

კანდიდატს გააჩნია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის

სიღრმისეული ცოდნა. ამასთან, კანდიდატის საჯარო მოსმენისას დასმული კითხვების სირთულის გათვალისწინებით, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლის ნორმების ცოდნის“ მახასიათებლის მიხედვით, შეფასდეს **22 ქულით (მაქსიმალური -25);**

კანდიდატს გააჩნია უნარი და კომპეტენცია მართებულად და სხვის დაუხმარებლად განმარტოს სამართლის ნორმა, შეუსაბამოს იგი დადგენილ ფაქტებს, შინაგან რწმენას და მიიღოს გადაწყვეტილება. სამართლებრივ პოზიციას ასაბუთებს მკაფიოდ, ნათლად, ზუსტად და კვალიფიციურად.

აღნიშნული გარემოებების (ხარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **22 ქულით (მაქსიმალური - 25 ქულა);**

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, მარიამ ჩუბინიძეს შეუძლია წერილობითი დოკუმენტი ზედმიწევნით და შინაარსობრივად სწორად ჩამოაყალიბოს, შეუძლია გრამატიკულად და სტილისტურად გამართულ ენაზე და გასაგებად ჩამოაყალიბოს აზრი, მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებები და სამართლებრივი დასკვნები მოწონებას იმსახურებდა და მხოლოდ უმნიშვნელო შესწორებას საჭიროებდა. გააჩნია დაუბრკოლებელი ზეპირი მეტყველების და აზრის ნათლად, ლაკონურად და დამაჯერებლად ჩამოყალიბების უნარი.

აღნიშნული გარემოებების (ხარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **18 ქულით, (მაქსიმალური - 20 ქულა);**

კანდიდატი არის პუნქტუალური, დისციპლინირებული, კომპეტენტური, თვითგანვითარებაზე ორიენტირებული, მომეტებულად შრომისმოყვარე, შეუძლია საქმიანობის უნარიანად დაგეგმვა და მოვალეობების დროულად, ჯეროვნად და ზუსტად შესრულება.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული თვისებების“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **15 ქულით (მაქსიმალური 15 ქულა);**

კანდიდატი მუდმივად იღრმავებს ცოდნას და ეცნობა სამართლის სიახლეებს, მათ შორის, საერთაშორისო და ეროვნული სასამართლოების პრაქტიკას,

აღნიშნულს კი წარმატებით იყენებს პრაქტიკაში, გავლილი აქვს ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით. არ ეწევა სამეცნიერო საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნევ, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „აკადემიური შიღწევების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 9 ქულით (მაქსიმალური 10 ქულა).

კანდიდატი არ მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში. არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს 0 ქულით (მაქსიმალური 5 ქულა).

აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატს ვანიჭებ 86 ქულას.



ლევანი თევზაძე